პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სასამართლოს მენეჯმენტის მოდერნიზაციის ხელშეწყობა საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.05.2023 - 28.02.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 640 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 800 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Council of Europe

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/partnershipgovernance, https://twitter.com/CoeEapPCF

პროექტის ვებსაიტები: partnership-governance-eu.coe.int/

პროექტის აღწერა:

პროექტი ესწრაფვის, განაგრძოს ქვეყნის მხარდაჭერა ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებისა თუ ინსტრუმენტების დასამკვიდრებლად მართლმსაჯულების სფეროში, ასევე, მეტად განავითაროს ამ სფეროს პროფესიონალთა შესაძლებლობები, რათა მათ ეს სტანდარტები და ინსტრუმენტები სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენონ: სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, სასამართლოს ადმინისტრირების მოდერნიზაციისათვის, მათ შორის, კიბერმართლმსაჯულების ინსტრუმენტთა დანერგვის გზით. ამასთან, უწყვეტად გააუმჯობესონ სასამართლოს სერვისები პროფესიონალებსა და საზოგადოებას შორის დიალოგით.

პროექტი შესრულდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში, 2023 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში. იგი დაეყრდნობა აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს მართლმსაჯულების გაძლიერების სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

მოსალოდნელი შედეგები:

1. სასამართლოები დანერგავენ ხარისხისა და ეფექტიანობის სტანდარტებსა და ინსტრუმენტებს
2. გაუმჯობესდება ეფექტიანი და ხარისხიანი სასამართლო სერვისების მოქალაქეებისათვის მიწოდება
3. ქოუჩინგის პროგრამა სასამართლოებში შექმნის კარგ პლატფორმას სასამართლოს მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და პრაქტიკული ზომები გავრცელდება ყველა სასამართლოში
4. სასამართლოს მუშაობა გაძლიერდება სასამართლოს გაუმჯობესებული მენეჯმენტის მეშვეობით
5. მედიაციისადმი მიმართვიანობა მოიმატებს.